დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი შპს სიოს მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "საექთნო საქმე" ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები:

თავმჯდომარე: ნინო ქიტიაშვილი

წევრები:

1. ხათუნა მაისაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ნაწილი I. შესავალი
I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **შპს სიო**
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **შპს**
საიდენტიფიკაციო კოდი: **212797945**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

■ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

- ☐ **გეგმიური**
- ☐ **არაგეგმიური**
- ☐ **საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 23 ივნისის N723323 ბრძანების საფუძველზე 2025 წლის 15 ივლისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შპს სიო-ში (ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის 21ა) „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტების „ბ.ბ“ და „ბ.დ“ კომპონენტების, აგრეთვე „ე“ ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტების „ე.ა“ და „ე.ბ“ კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით

ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. მოხდა გასაუბრება ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წინასწარ და ვიზიტის პერიოდში მოწოდებული ინფორმაცია. ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების ადმინისტრაციას გააცნო ვიზიტის ძირითადი მიგნებები.

შპს სიოს ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 აპრილის N425898 გადაწყვეტილებით მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმის“ განხორციელების უფლება, სტუდენტთა ზღვრული ოდენობით - 195.

აღსანიშნავია, რომ კოლეჯი საქმიანობას ახორციელებდა იჯარით აღებულ ფართში ქუთაისი, გალაკტიონ ტაბიძის 72/დ). ახლა კი კოლეჯმა შეიძინა და გაარემონტა საკუთარი შენობა ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის 21ა), რაც უზრუნველყოფს უფრო მდგრად და ხანგრძლივ ფუნქციონირებას. ახალი შენობა აშენდა კოლეჯის საჭიროებებზე მორგებულად – გათვალისწინებულია სასწავლო პროგრამების სპეციფიკა, თანამედროვე სტანდარტები და ტექნიკური მოთხოვნები. საკუთარ შენობაში კოლეჯს შეუძლია უზრუნველყოს უფრო მაღალი ხარისხის სასწავლო გარემო, მათ შორის აუდიტორიები, ლაბორატორიები და დამხმარე ინფრასტრუქტურა, რაც დადებითად აისახება საგანმანათლებლო პროცესზე. საკუთარი ფართი კოლეჯს აძლევს შესაძლებლობას უზრუნველყოს საქმიანობის მეტი მოქნილობა და გრძელვადიანი სტრატეგიული და მდგრადი განვითარება.

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
საექთნო საქმე	195	155	7	1

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის მე-5 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.2 საინფორმაციო რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
საექთნო საქმე	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
2.2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4. სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ გამოვლენილა.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

5.1.2.1 დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში მეტწილად დაცულია უსაფრთხოების ზომები;

კოლეჯს წარმოდგენილი აქვს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 20 მაისის №N1-33 ბრძანებით. შესაბამისობის გეგმა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

5.1.2.1 - დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები - აქტივობა - შენობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დადებითი დასკვნის მოპოვება - სახანძრო უსაფრთხოების სისტემების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა და დასკვნის მოპოვება

5.1.2.3 - დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი - აქტივობა - საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმის დოკუმენტის სრულყოფა და ადაპტირება ახალ შენობასთან, შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოებთან.

<u>აღნიშნული გეგმის მიხედვით კოლეჯს 5.1.2.1 და 5.1.2.3 კომპონენტების შესრულების ბოლო ვადად განსაზღვრული აქვს 2025 წლის 20 ნოემბერი</u>

დაწესებულებამ დადგენილ ვადაში უნდა უზრუნველყოს ყველა შესაბამისი ღონისძიების განხორციელება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

5.1.1.7 - ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
განმავითარებელი რეკომენდაცია: სასურველია, უკვე არსებულ გამოკითხვის ფორმატში (კითხვარი პროფესიული სტუდენტისთვის) დამატებით ინტეგრირდეს (ან ცალკე შემუშავდეს კითხვარი) კითხვები, რომლებიც დაეხმარება კოლეჯს შეაფასოს დაწესებულების რესურსების გამოყენების პრაქტიკა და ეფექტიანობა. ეს მექანიზმი ხელს შეუწყობს საჭიროებების სისტემურ ანალიზს და დაეხმარება დაწესებულებას ინფრასტრუქტურისა და მომსახურების განვითარებაში, რეალურ საჭიროებებსა და მოლოდინებზე მორგებით.

5.2.1.3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
განმავითარებელი რეკომენდაცია: რეკომენდირებულია ვიზიტის ფარგლებში პერსონალურ მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებლობაზე დანიშნულმა პირმა გაიაროს შესაბამისი ტრენინგი ან კურსი პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებთან დაკავშირებით და ასევე, კოლეჯმა მოახდინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნის თაობაზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის შეთანხმება.

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

შპს სიოს 2025 წლის 01 აგვისტოს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის გაგზავნილი წერილის N00014459 თანახმად, სტანდარტთან შესაბამისობის ორ ინდიკატორთან დაკავშირებით დაწესებულებამ მიიღო შესაბამისი ზომები, კერძოდ:

5.1.2.1 - მიმდინარეობს აქტიური კომუნიკაცია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან რათა მოხდეს სახანძრო უსაფრთხოების სისტემების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. განაცხადი უკვე გაკეთებულია და მიმდინარე წლის 28 ივლისს განხორციელდა კოლეჯის დათვალიერება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომელთა მიერ, ასევე მოხდა სახანძრო უსაფრთხოების სისტემების შემოწმება/გამოცდა.

დაწესებულება ელოდება სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის დოკუმენტს.

5.1.2.3 - 2025 წლის 29 ივლისის Mia 7 25 02396177 წერილით საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა შეითანხმა შპს „სიო“-ს დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო მართვის გეგმა (წერილი თან ახლავს დასკვნას).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ სტანდარტთან შესაბამისობის გეგმის ინდიკატორის - **5.1.2.3 - დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი** - აქტივობა - საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმის დოკუმენტის სრულყოფა და ადაპტირება ახალ შენობასთან, შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოებთან - **დაწესებულებამ უკვე განახორციელა, შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი შესაძლებელია შეფასდეს, როგორც შესრულებული.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

5.1.1.1 დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;

შპს სიო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს ახალ მისამართზე: ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის 21ა, საერთო ფართი 609.96 კვ.მ, რომელიც წარმოადგენს შპს სიო-ს საკუთრებას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია შიდა აზომვითი ნახაზი და სასწავლო რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (სასაქონლო ზედნადებები, მიღება-ჩაბარების აქტები, საგადახდო დავალებები, ინვენტარიზაციის აქტი) დოკუმენტაციის შესწავლით და ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება შემდეგი ფართების ფლობა: ჰოლი, აუდიტორიები, ადმინისტრაციული სივრცეები, დასასვენებელი/სარეკრეაციო სივრცე პროფესიული სტუდენტებისთვის, სანიტარული კვანძები, ბიბლიოთეკა, არქივი, პირველადი სამედიცინო დახმარების ოთახი, საკონფერენციო დარბაზი. შენობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობით, ხელოვნური და ბუნებრივი განათებით, სველი წერტილებით, პანდუსებით, უწყვეტი ინტერნეტით. სასწავლო აუდიტორიები და ზემოაღნიშნული ფართები აღჭურვილია საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსით, რაც უზრუნველყოფს მათ დანიშნულების შესაბამის ფუნქციონირებას.

5.1.1.2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;

პსდ-ს დამტკიცებული აქვს მატერიალური რესურსების გამოყენების წესი, სადაც გაწერილია კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის განახლების პროცედურები და პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებელთა მიერ ამ რესურსით სარგებლობის პირობები და უფლებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

კოლეჯი არ ზღუდავს პროფესიულ სტუდენტებსა და პერსონალს ისარგებლონ მატერიალური რესურსებით, თუ მათი გამოყენება დაკავშირებულია საგანმანათლებლო ან შემეცნებით საქმიანობასთან. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისათვის, რაც უზრუნველყოფილია როგორც ადმინისტრაციული რეგულაციებით, ასევე პრაქტიკაში დანერგილი პროცედურებით.
ზემოაღნიშნულ წესში მითითებული ჩანაწერების შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს კოლეჯის სასწავლო და დამხმარე რესურსებით, ხოლო ვალდებულია, დაიცვას სისუფთავე და გაუფრთხილდეს ინფრასტრუქტურას. პროფესიული სტუდენტების მიერ კოლეჯის სასწავლო და დამხმარე რესურსებით სარგებლობის შესაძლებლობა დადასტურებულია როგორც დოკუმენტურად, ასევე ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული ინტერვიუირებისას.

5.1.1.3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
პსდ-ში სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვა დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის ვიზუალური დათვალიერებითა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუირებისას. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას მათთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე უზრუნველყოფენ დამლაგებლები, რომლებიც უზრუნველყოფენ სისუფთავის დაცვას კოლეჯის როგორც შიდა, ისე გარე ტერიტორიაზე.

5.1.1.4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
პსდ-ს მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით, რაც დასტურდება როგორც კომუნალური გადახდის ქვითრებით, ასევე ფაქტობრივი გარემოებით (ვიზუალური დათვალიერებით და სტუდენტთა და პერსონალის გამოკითხვით).

5.1.1.5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
პსდ-ს დამტკიცებული აქვს ,,შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა", რომლის ძირითადი მიზანია კოლეჯის თანამშრომლებისა და მომხმარებლებისათვის დანერგოს უსაფრთხო სამუშაო გარემო საფრთხეებისა და რისკების შემცირების გზით; ასევე, პსდ-მ წარმოადგინა „შრომის უსაფრთხოების გეგმა", რომელიც შემუშავებულია შრომის უსაფრთხოებისა და დაცვის მენეჯერის მიერ და მოიცავს შემდეგ პროცედურებსა და ინფორმაციას: კოლეჯის შესახებ ინფორმაცია; ფუნქცია-მოვალეობები; რისკების შეფასება და მართვა; პერსონალის სწავლება; უბედური შემთხვევების მოკვლევა; პროფესიული დაავადებების პრევენცია და მოკვლევა; საგანგებო სიტუაციების მართვა; მონიტორინგი და კონტროლი; შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების ერთ წლიანი გეგმა.
ვიზიტის დროს შრომის უსაფრთხოებისა და დაცვის მენეჯერის მიერ წარმოდგენილ იქნა რისკების შეფასების დოკუმენტი, ინსტრუქტაჟების ჩატარების აღრიცხვის ფორმები, სხვადასხვა მონაცემების აღრიცხვის ჟურნალის ფორმები და სხვა. აღნიშნულ მენეჯერს ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით უფლება აქვთ განახორციელოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობები.

5.1.1.6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
დამტკიცებულია „სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალების შეძენა, ნედლეულის შენახვის და გახარჯულის აღრიცხვის პროცედურა და სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაციის წესი", რომლის მიხედვითაც პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის, პროგრამაში შემავალი მოდულების მასალებისა და ნედლეულის ნაწილის გათვალისწინებით, სამეურნეო სამსახურის მენეჯერი ახორციელებს მასალებისა და ნედლეულის შესყიდვას მოდულის დაწყებამდე და მოდულის განმახორციელებელი პირისათვის გადაცემას, რათა სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილ იქნას საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებლად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

5.1.1.7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
კოლეჯის მიერ ჩატარებული პროფესიული სტუდენტების გამოკითხვაში წარმოდგენილი კითხვები ძირითადად ზოგად ხასიათს ატარებს, რაც ამ ეტაპზე შესაძლოა გარკვეულწილად ზღუდავდეს შესაძლებლობას, დაწესებულებამ მიზნობრივად შეაფასოს სასწავლო გარემოსა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეფექტიანობა. ამ მიმართულებით, მიზანშეწონილია, კოლეჯმა დანერგოს რესურსების შეფასების უფრო სტრუქტურირებული და მიზნობრივი ინსტრუმენტები, რაც შესაძლებლობას მისცემს სხვადასხვა ჯგუფის – სტუდენტების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლების – შეხედულებების მიღებას ისეთი კონკრეტული ასპექტების შესახებ, როგორიცაა მაგალითად აუდიტორიების კომფორტულობა, აღჭურვილობა, სწავლების მასალების ხელმისაწვდომობა და სხვ., რისთვისაც სასურველია გამოკითხვის ფორმატში ინტეგრირდეს კითხვები, რომლებიც დაეხმარება კოლეჯს შეაფასოს სასწავლო რესურსების გამოყენების პრაქტიკა და ეფექტიანობა. ეს მექანიზმი ხელს შეუწყობს საჭიროებების სისტემურ ანალიზს და დაეხმარება დაწესებულებას ინფრასტრუქტურისა და მომსახურების განვითარებაში, რეალურ საჭიროებებსა და მოლოდინებზე მორგებით.

5.1.1.8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
დაწესებულების მფლობელობაში შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია და უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას, რაც ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის. კოლეჯს არ ჰყავს შშმ სტუდენტები, თუმცა მათი არსებობის შემთხვევაში, კოლეჯში ხელმისაწვდომია შესაბამისი პირობები.

5.1.1.9. დაწესებულების ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.
პსდ-ს მფლობელობაში არსებულ ყველა სასწავლო და ადმინისტრაციულ ფართს, მოსასვენებელ სივრცეებსა და ბიბლიოთეკას აქვს, როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.

5.1.1.10. დაწესებულების სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.
პსდ-ს ტერიტორიაზე სივრცეები იმგვარადაა განაწილებული, რომ ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას, რომელიც იძლევა საშუალებას შეიქმნას დამოუკიდებელი სამუშაო სივრცეები. ტერიტორიაზე გამოყოფილია რეკრეაციული და შემოქმედებითი სივრცეები სტუდენტებისათვის; პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ კეთილმოწყობილი და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი სივრცე, სადაც მათ აქვთ შეუფერხებლად მუშაობის შესაძლებლობა.

5.1.1.11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.
ბიბლიოთეკაში არსებული მატერიალური საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის მიხედვით. საგანმანათლებლო რესურსი აღრიცხულია ჟურნალში, რომელიც დამუშავებულია საქმისწარმოების ერთიანი წესების შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი წესით. პსდ-ს ჰყავს საბიბლიოთეკო საქმეზე პასუხიმგებელი ბიბლიოთეკარი, რომელიც ახორციელებს სტუდენტებისა და პერსონალის უზრუნველყოფას საბიბლიოთეკო სერვისებით. საგანმანათლებლო რესურსით სარგებლობის გარდა, კოლეჯის საბიბლიოთეკო სერვისები გულისხმობს ასლის გადაღებისა და ამობეჭდვის შესაძლებლობას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- მოძრავი ქონების, მათ შორის სასწავლო რესურსის, ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ელექტროენერგიის, წყლისა და ბუნებრივი აირის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- დაწესებულების მატერიალური რესურსის გამოყენების რეგულაცია;
- ინვენტარის აღწერა/განახლება/შეკეთების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- დაწესებულების მატერიალური რესურსების შეფასების შედეგები და განვითარების გეგმა;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- სამკითხველო დარბაზის, საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავებული სასწავლო რესურსების, ელექტრონული მართვის მოქმედი სისტემისა და კატალოგის შემოწმების შედეგი;
- პსდ-ს მიერ ჩატარებული პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის შედეგები;
- პროფესიულ სტუდენტებთან/ დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება.
1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
5.1.2.1 დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში მეტწილად დაცულია უსაფრთხოების ზომები;
კოლეჯს წარმოდგენილი აქვს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 20 მაისის №N1-33 ბრძანებით. შესაბამისობის გეგმა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:
5.1.2.1 - დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები - აქტივობა - შენობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დადებითი დასკვნის მოპოვება - სახანძრო უსაფრთხოების სისტემების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა და დასკვნის მოპოვება
5.1.2.3 - დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი - აქტივობა - საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმის დოკუმენტის სრულყოფა და ადაპტირება ახალ შენობასთან, შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოებთან.
<u>აღნიშნული გეგმის მიხედვით კოლეჯს 5.1.2.1 და 5.1.2.3 კომპონენტების შესრულების ბოლო ვადად განსაზღვრული აქვს 2025 წლის 20 ნოემბერი</u>
ვიზიტის ფარგლებში პსდ-მ წარმოადგინა დირექტორის 2025 წლის 14 ივლისის N1-47 ბრძანებით დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში გასაგზავნი წერილის პროექტი.
<u>**შესაბამისობის რეკომენდაცია: დაწესებულებამ დადგენილ ვადაში უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება.**</u>

5.1.2.2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დამტკიცებულია „პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები“. კოლეჯს ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმი, რომელიც უზრუნველყოფს სამედიცინო დახმარების აღმოჩენას დაწესებულების ტერიტორიაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

პირველადი გადაუდებელი დახმარების უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებულია პირველადი გადაუდებელ დახმარებისა და უსაფრთხოების სპეციალური პროგრამა-ტრენინგი, რომელიც უტარდება ყველა ახალ ნაკადს, მათ შორის პერსონალს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს, სტუდენტებსა და მსმენელებს.
სამედიცინო ყუთი განთავსებულია შენობაში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილას და უზრუნველყოფილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად აუცილებელი აღჭურვილობითა და რესურსებით.
პასუხისმგებელი პირი უფლებამოსილია:
ა) თავად აღმოუჩინოს პირველადი გადაუდებელი დახმარება;
ბ) გამოიძახოს გადაუდებელი სამედიცინო დამხარება (112) და ფაქტის შესახებ მოახდინოს პროფესიული სტუდენტის ოჯახის წევრის ინფორმირება.

5.1.2.3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
პსდ-ს წარმოდგენილი აქვს დირექტორის 2025 წლის 20 მაისის ბრძანებით N1-33 დამტკიცებული სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, გასატარებელი ღონისძიებების, განხორციელების ვადის და შესაბამისი რესურსის მითითებით; აღნიშნული გეგმის მიხედვით კოლეჯს 5.1.2.1 და 5.1.2.3 კომპონენტების შესრულების ბოლო ვადად განსაზღვრული აქვს 2025 წლის 20 ნოემბერი.
ვიზიტის ფარგლებში პსდ-მ წარმოადგინა დირექტორის 2025 წლის 14 ივლისის N1-47 ბრძანებით დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში გასაგზავნი წერილის პროექტი.
შესაბამისობის რეკომენდაცია: დაწესებულებამ დადგენილ ვადაში უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

5.1.2.4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.
შრომის უსაფრთხოების და დაცვის მენეჯერი უზრუნველყოფს კოლეჯის სტუდენტთა, თანამშრომელთა და სტუმრების უსაფრთხოებას. კოლეჯის ქონების დაცვას, სახანძრო უსაფრთხოებას. მენეჯერი ვალდებულია მუდმივად აკონტროლოს კოლეჯში დამონტაჟებული სამეთვალყურეო კამერები და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აღმოფხვრას იგი. საჭიროების შემთხვევაში, უფლებამოსილია დაათვალიეროს სამეთვალყურეო კამერის ჩანაწერები. შრომის უსაფრთხოების და დაცვის მენეჯერი ვალდებულია გააკონტროლოს კოლეჯის შენობაში შემომსვლელი უცხო პირები. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

დასტურდება (მტკიცებულებები):
- დირექტორის მიერ დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები;
- დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- ხელშეკრულება დაწესებულების დაცვის ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირთან
- შენობა-ნაგებობის მთლიან შიდა (გარდა ადმინისტრაციული და სასწავლო კაბინეტებისა, სანიტარული კვანძების) და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერების სისტემის შემოწმების შედეგი.
- პერსონალთან გასაუბრების შედეგები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში მეტწილად დაცულია უსაფრთხოების ზომები და დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი, რომელიც შესათანხმებელია კომპეტენტურ ორგანოსთან/პირთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

5.2.1.1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;

კოლეჯში ყველა სასწავლო აუდიტორია, ბიბლიოთეკა და ადმინისტრაციის ოთახი აღჭურვილია ქსელში ჩართული კომპიუტერებით/ლეპტოპებით. კოლეჯის სტრუქტურული ერთეულია საინფორმაციო სამსახურის მენეჯერი, რომელიც პასუხისმგებელია ადგილობრივი კომპიუტერული ქსელის შეუფერხებელ და გამართულ მუშაობაზე, თითოეული კომპიუტერის ინტერნეტით და სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელი კომპიუტერული პროგრამებით უზრუნველყოფაზე, რეგულარული პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარებაზე. დაწესებულებაში შექმნილი IT ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ინტერნეტ რესურსების უწყვეტ მიწოდებას კოლეჯის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, ბიბლიოთეკასა და სასწავლო აუდიტორიებში. კოლეჯის მთელ ტერიტორიაზე ხელმისაწვდომია უსადენო ინტერნეტი (Wi-Fi). სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა და ადმინისტრაციის ოთახები მარაგდება ქსელური ინტერნეტით. ინტერნეტის მომსახურებასთან დაკავშირებით მომსახურების ხელშეკრულება გაფორმებულია შპს „ახალ ქსელებთან“. IT ინფრასტრუქტურა იძლევა სასწავლო პროცესისა და ადმინისტრაციული პროცესების სრულყოფილად წარმართვის შესაძლებლობას.

5.2.1.2 პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;

პსდ-ს კომპიუტერულ ქსელს მართავს კოლეჯის საინფორმაციო სამსახურის მენეჯერი, რომელიც პასუხისმგებელია კოლეჯის ტერიტორიაზე როგორც კაბელურ, ისე უკაბელო ქსელური ინფრასტრუქტურის პროექტირებაზე, საინსტალაციო სამუშაოების მონიტორინგზე და მართვაზე.

კოლეჯის შიდა ქსელში ჩართული მოწყობილობები ექვემდებარება ერთიან უსაფრთხოების პოლიტიკას. ეს პოლიტიკა უზრუნველყოფს კოლეჯის ქსელში არასანქცირებული წვდომის შეზღუდვას, რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას, მომხმარებელთა კომპიუტერების დაინფიცირების თავიდან აცილებას ეფექტური ანტივირუსული მექანიზმის გატარებით, არასასურველი ტრაფიკის გენერირების და სისტემაზე არასასურველი გავლენის თავიდან აცილებას.

კოლეჯის საინფორმაციო სამსახური უზრუნველყოფს რისკების და ინფორმაციის სენსიტიურობის და უსაფრთხოების შეფასებას. განსაზღვრავს კომპიუტერის ქსელთან მიერთების და დამისამართების წესს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ზემოაღნიშნული მექანიზმები აღწერილია „ინფორმაციის ტექნოლოგიის (IT) მართვის პოლიტიკა და პროცედურები“-ს დოკუმენტში, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის მიერ.
ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი იქნა პსდ-ს IT პროცესების ეფექტიანობის შეფასების შედეგები, გაცემული რეკომენდაციები.

5.2.1.3 დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;

პსდ-ს დამტკიცებული აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა“, მასში გათვალისწინებულია პერსონალური მონაცემების დაცვის ძირითადი ასპექტები და მოიცავს შემდეგ საკვანძო საკითხებს: კოლეჯის საქმიანობის ფარგლებში დამუშავებული მონაცემები, დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნები, მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე სუბიექტები, სტუდენტური ბაზა, ვიდეო კონტროლის წარმოების მიზნები და მექანიზმები, დასაქმებულთა მიმოსვლის აღრიცხვა, მონაცემთა სუბიექტის უფლებამოსილება. დაწესებულების წარმომადგენლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ნებისმიერი შეხვედრის შემდეგ, კოლეჯი წერილობითი ფორმით იღებს დამსწრე აუდიტორიისაგან ნებართვას ფოტო-ვიდეო მასალების გავრცელებაზე. ამავე დროს, კოლეჯის საინფორმაციო დაფებზე, სოციალურ ქსელში, კოლეჯის ვებ-გვერდზე არ იდება/იკვრება პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია. პროფესიულ სტუდენტებს მათ მიერ მიღებული შეფასების შედეგები ეცნობებათ პირისპირ ან წერილობითი ფორმით, რასაც ადასტურებს როგორც მატერიალური დოკუმენტები, ასევე გასაუბრების შედეგები, შესაბამისად დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
<u>ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ კოლეჯს არ ჰყავდა პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელსაც არ ექნებოდა შეხება კოლეჯის პერსონალურ მონაცემებთან - მოვალეობას ასრულებდა კოლეჯის ბიბლიოთეკარი. პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკის ეფექტური განხორციელების მიზნით ინტერსთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით რეკომენდირებულია, რომ პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი არ იყოს კოლეჯის ადმინისტრაციული ერთეულის თანამშრომელი ან იყოს, მაგრამ არ ჰქონდეს შეხება კოლეჯის პერსონალურ მონაცემებთან.</u>
<u>ვიზიტის დროს კოლეჯმა გაითვალისწინა რეკომენდაცია და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის პოზიციაზე დანიშნა პირი, რომელიც არის კოლეჯისგან დამოუკიდებელი პირი და წარმოადგინა მასთან გაფორმებული ხელშეკრულება და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები.</u>
<u>რეკომენდირებულია აღნიშნულმა პირმა გაიაროს შესაბამისი ტრენინგი ან კურსი პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებთან დაკავშირებით და ასევე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნის თაობაზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის შეთანხმება.</u>

5.2.1.4 პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;

IT ტექნიკის რეგულარულ შემოწმებაზე და მონიტორინგზე პასუხისმგებელია საინფორმაციო სამსახურის მენეჯერი. პროფესიულ სტუდენტთა, თანამშრომელთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგად გამოკვეთილი პრობლემების შესაბამისად, ხარისხის მართვის მენეჯერი, ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერთან ერთად შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებიც მიმართულია ეფექტურობის ამაღლებისაკენ. გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ კოლეჯი აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;

5.2.1.5 პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;

პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება - სასწავლო და სამუშაო პერიოდში, ვიზუალური დათვალიერების და გასაუბრების შედეგებით დგინდება, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები და პროფესიული სტუდენტები სარგებლობენ ბიბლიოთეკაში განთავსებული კომპიუტერებით ან/და კომპიუტერების კლასებით ან/და გამოყოფილი სივრცეებით, სადაც მათთვის ხელმისაწვდომია პრინტერი, სკანერი, უწყვეტი ქსელური ინტერნეტი და Wi-Fi. დაწესებულების თანამშრომლებსა და პროფესიულ სტუდენტებს, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლიათ ნებისმიერ დროს ისარგებლონ საინფორმაციო სამსახურის მენეჯერის მომსახურებითა და კონსულტაციით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

5.2.1.6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.
პსდ- ში ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, პროფესიული მასწავლებლისა და ადმინისტრაციისათვის შექმნილია ელ-ფოსტები, საკომუნიკაციოდ ასევე გამოიყენება სოციალური ქსელის დახურული ჯგუფები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ინფორმაციის ტექნოლოგიის (IT) მართვის პოლიტიკა და პროცედურები;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შესწავლის შედეგი (კომპიუტერული ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი);
- შპს „ახალ ქსელებთან“ გაფორმებული ხელშეკრულება;
- უკაბელო ინტერნეტის ადგილზე შემოწმების შედეგი;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა;
- IT პროცესების ეფექტიანობის შეფასების შედეგების და რეკომენდაციების დოკუმენტი;
- პერსონალთან გასაუბრების შედეგები.

5.2.2. პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისათვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

5.2.2.1 პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

საქმისწარმოების წესით განსაზღვრულია პსდ-ს შემოსული და გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის, ბრძანების რეგისტრაციისა და აღრიცხვის, ხელშეკრულების და სხდომის ოქმების რეგისტრაციის აღრიცხვის, დიპლომების/დანართების რეგისტრაციისა და აღრიცხვის, დოკუმენტების შედგენა გაფორმების, ბეჭდის და ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების და არქივის წესები. საქმისწარმოება მიმდინარეობს eflow დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით.

5.2.2.2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისათვის;

პსდ-ში აქტიურად გამოიყენება ელექტრონული ფოსტა და eflow, თანამშრომლების საქმიანი კომუნიკაციისა და დოკუმენტების მიმოცვლისთვის, რაც მოიცავს წერილის, სამსახურებრივი ბარათის მიმოცვლას როგორც კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს შორის, ისე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასა თუ სხვა ორგანიზაციებთან საგანმანათლებლო თუ ფინანსური კუთხით, კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდსა და მეილზე ხდება დაინტერესებულ პირთა და კოლეჯის ადმინისტრაციას შორის საქმიანი მიმოწერა. რაც შეეხება გასული და შემოსული კორესპონდენციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

აღრიცხვას, ხდება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება: თითოეული წერილი ელექტრონულ ფორმატში კონვერტირდება და ელექტრონულ ჟურნალში ტარდება, მატერიალურთან ერთად.

5.2.2.3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;

პსდ-ში დანიშნულია ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, რომლის მოვალეობაშიც შედის პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში შესაბამისი ინფორმაციების დროულად ასახვა, გადამოწმდა ექსპერტების მიერ, გამოცემული აქტების შესაბამისად შეტანილი ინფორმაციები და ვადები.

5.2.2.4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ექსპერტთა შემოწმების შედეგად დგინდება, რომ კოლეჯში ფუნქციონირებს „საქმისწარმოების წესით“ დადგენილია შემოსული დოკუმენტების შესრულების და გაცემის ვადები, რომელზე კონტროლიც ეკისრება ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერს. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის ასახვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში. ასევე დადასტურდა რომ კოლეჯი დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პსდ-ს საქმისწარმოების წესი;
- პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;
- საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა eflow.

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას.

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

5.2.3.1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

პსდ-ს ვებგვერდი https://www.sio.ge/ და სოციალური ქსელის გვერდი წარმოადგენს საკომუნიკაციო პლატფორმას და ძირითადად გააჩნია საკომუნიკაციო ფუნქცია. ვებგვერდსა და სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი ნომერი და ელექტრონული ფოსტა, მისამართი), შესაძლებელია წერილობითი კომუნიკაცია კოლეჯის ადმინისტრაციასთან, ორივე პლატფორმის შემთხვევაში. კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია მისიის, ხედვის, ღირებულებების შესახებ. ატვირთულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, კატალოგი, შესრულების ანგარიშები, მარეგულირებელი დოკუმენტები, ელექტრონული კატალოგი. განთავსებულია ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა შესახებ, სტრუქტურის, მენეჯმენტის, ისტორიის შესახებ. ვებ-გვერდის მართვაზე პასუხისმგებელია ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, რომელიც მუდმივად ტვირთავს სიახლეებს, ანონსებს შესაბამის ველში. სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია და ინფორმაცია მიმდინარე ნებისმიერი საინტერესო აქტივობის, პროცესის, მიღების გამოცხადების, ცვლილებების, სიახლეების შესახებ დაინტერესებული პირები ინფორმაციას იღებენ სოციალური ქსელის საშუალებით. კოლეჯის ვებ-გვერდზე და სოციალური ქსელის გვერდზე სიახლეების/ანონსების/ფოტოების განთავსებისას დაცულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი.

5.2.3.2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

დაწესებულების მისიაში არ არის განსაზღვრული საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება

5.2.3.3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

საზოგადოებასთან ურთიერთობის პოლიტიკა და შესაბამისი პროცედურები განსაზღვრულია „საზოგადოებასთან ურთიერთობის წესით“ და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის ფუნქციებით. ინფორმაციის საჯარო გავრცელების პროცესში: კოლეჯი მკაცრად აკონტროლებს, რომ ყველა ოფიციალური განცხადება, მიმართვა ან სარეკლამო მასალა იყოს ზუსტი, სრულყოფილი და არ შეიცავდეს შეცდომაში შემყვან ინფორმაციას; გავრცელებული მასალების შინაარსი წინასწარ თანხმდება კოლეჯის დირექტორთან; სარეკლამო მასალების, ფოტოების ან ვიდეოების გამოქვეყნებამდე, პირთა პირადი მონაცემების დაცვის შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად, მიიღება შესაბამისი თანხმობა;

5.2.3.4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;

საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი განთავსებულია კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე და მასში მოცემულია ინფორმაცია კოლეჯის მიერ განსახორციელებელი ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ. კატალოგი განახლებულია 2025 წელს.

5.2.3.5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;

საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა - კატალოგი ასრულებს საინფორმაციო ფუნქციას და ახლდება ყოველ წელს, ყოველი ახალი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების, პროგრამებში განხორციელებული ცვლილების შეტანისას თუ მოდიფიცირების შემთხვევაში. ის ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის და განთავსებულია ოფიციალურ ვებგვერდზე. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ცვლილებების შემთხვევაში გონივრულ ვადებში ხორციელდება კატალოგის განახლება, რათა სწორი ინფორმაცია მიეწოდოთ დაინტერესებულ მხარეებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

5.2.3.6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიზნებისათვის აქტიურად გამოიყენება სოციალური ქსელის გვერდიდან, კოლეჯის ვებ-გვერდიდან და სხვა არხებიდან შემოსული ინფორმაცია. პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, აპლიკანტების, მათი მშობლების, კოლეჯში სწავლის გაგრძელების მსურველი პირების უკუკავშირი, მათი მოწერილობები, მათგან მიღებული ინფორმაცია გამოიყენება პროცესების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დომენის და ჰოსტინგის ხელშეკრულება;
- https://www.sio.ge/
- ვებ-გვერდსა და სოც.ქსელის გვერდზე საკონტაქტო და სხვა საჭირო ინფორმაციის, სიახლეების და ასევე პროგრამების კატალოგის დათვალიერების შედეგი;
- ვებ-გვერდზე განთავსებული პსდ-ს მისიის, საქმიანობის, სტრუქტურის, პროგრამის სახელწოდებებისა და ამ პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურების, პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნების-შემოწმების შედეგი;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულების ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას, დაწესებულებაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, იგი მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას.

შეფასება:

☒შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	საექთნო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის 21ა
პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში)	კოოპერაციული
დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	195
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	155
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

პსდ საექთნო საქმის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს ქალაქ ქუთაისში, ი. ჭავჭავაძის ქუჩა № 21ა-ში, სადაც შესწავლილი დოკუმენტაციითა და ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია შესაბამისად აღჭურვილი და კეთილმოწყობილი 1 (ერთი) A/C გარემო (30 პროფესიულ სტუდენტზე), 2 (ორი) A გარემო (70 და 30 პროფესიულ სტუდენტზე), პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებულია ასევე სათანადოდ აღჭურვილი 1 (ერთი) B გარემო - კომპიუტერული კლასი (20 პროფესიულ სტუდენტზე).

ყველა აუდიტორია აღჭურვილია სადემონსტრაციო საშუალებებით, დაფებით, პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, პრინტერი).

დაწესებულებაში ვიზიტისას ექპერტთა მიერ ადგილზე გადამოწმდა მატერიალური რესურსები და მათი ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე საექთნო საქმე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 195 პროფესიულ სტუდენტს. თითოეულ წელს მიიღებს - 65 პროფესიულ სტუდენტს, სასწავლო გეგმის მიხედვით პარალელური სწავლებისას, თეორიული სწავლება ერთდროულად უწევთ 2 წლის მიღების პროფესიულ სტუდენტებს, რაც ადასტურებს, რომ კოლეჯი შეუფერხებლად განახორციელებს - 130 (65+65) პროფესიული სტუდენტის სწავლებას. სწავლების მეორე წლის მეორე ნახევრიდან პროგრამის განხორციელება გრძელდება პარტნიორ კლინიკებში. ამ ეტაპზეც, ანალოგიურად პარალელურად სწავლება უწევს ორი წლის მიღების პროფესიულ სტუდენტებს, რაც ჯამურად არის მაქსიმუმ 130 პროფესიული სტუდენტი. პარტნიორ კლინიკებში სწავლებას უზრუნველყოფენ პროფესიული განათლების მასწავლებლები პრაქტიკის დარგში თანაფარდობით - 1/7.

ვიზიტის პერიოდისთვის საგანმანათლებლო პროგრამაზე ირიცხებოდა - 155 აქტიური პროფესიული სტუდენტი. სტატუსი შეჩერებული აქვს სულ - 7 პირს, ხოლო შეწყვეტილი 1 პირს.

საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების მიზნით, გაფორმებულია ხელშეკრულებები შემდეგ პრაქტიკის ობიექტებთან:

1. შპს კლინიკა ,,ბომონდი“ – 80 პროფესიული სტუდენტი ერთ მიღებაზე (ხელშეკრულების გაფორმების თარიღია - 28.04.2022 წელი, ექვსი წლის ვადით);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

2. შპს თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრი - 98 პროფესიული სტუდენტი ერთ მიღებაზე (ხელშეკრულების გაფორმების თარიღია - 07.07.2022 წელი, ექვსი წლის ვადით);
3. ქუთაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი - 80 პროფესიული სტუდენტი ერთ მიღებაზე (ხელშეკრულების გაფორმების თარიღია - 29.09.2021 წელი, ექვსი წლის ვადით);
4. აკ. ბიძინა ნანეიშვილის სახ. ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი - 80 პროფესიული სტუდენტი ერთ მიღებაზე (ხელშეკრულების გაფორმების თარიღია - 20.10.2022 წელი, ექვსი წლის ვადით);
5. დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრი - 80 პროფესიული სტუდენტი ერთ მიღებაზე (ხელშეკრულების გაფორმების თარიღია - 27.03.2023 წელი, ექვსი წლის ვადით);
6. ჯანმრთელობის ეროვნული ორგანიზაცია - 40 პროფესიული სტუდენტი ერთ მიღებაზე (ხელშეკრულების გაფორმების თარიღია - 27.05.2025 წელი, ექვსი წლის ვადით).
7. შპს ლჯ-ის კლინიკა - 80 პროფესიული სტუდენტი ერთ მიღებაზე (ხელშეკრულების გაფორმების თარიღია - 28.03.2023 წელი, ექვსი წლის ვადით).

კლინიკები აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სადაც უკვე ხორციელდება 68 პროფესიული სტუდენტისათვის (2023 წლის მიღების) კლინიკური და პრაქტიკული კომპონენტების სწავლება. აღნიშნულ კლინიკებთან გაფორმებული ხელშეკრულებები მოიცავს ინფორმაციას, თუ რომელი მოდულის განხორციელებაში ჩაერთვება კლინიკა, რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღების შესაძლებლობა აქვს იმ გაანგარიშებით, რომ 7 (შვიდ) პროფესიულ სტუდენტზე უზრუნველყოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი პრაქტიკის დარგში და გამოყოს მოდულებით განსაზღვრული სახარჯი მასალები.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, როგორც დაწესებულების საგანმანათლებლო სივრცეები, ისე პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი კლინიკები თავის მფლობელობაში არსებული მატერიალური აღჭურვილობითა და რესურსით, უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ვიზიტის ფარგლებში მოხდა პრაქტიკის ობიექტის - შპს კლინიკა,,ბომონდი"-ის წარმომადგენელთან გასაუბრება და დაფიქსირდა სრული მზაობა გააგრძელონ თანამშრომლობა კოლეჯთან ხელშეკრულებაში გაწერილი პირობების შესაბამისად.

ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, რითაც დასტურდება, რომ პრაქტიკის ობიექტებს კანონმდებლობით დადგენილი წესით გააჩნიათ სწავლების მოდულით გათვალისწინებული მიმართულებით საქმიანობის უფლება.

2.2.1.2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

პროგრამის განხორციელებისთვის შერჩეულია 47 პირი, მათ შორის 6 ზოგადი მოდულების (1 - საინფორმაციო ტექნოლოგია, 2 - უცხო ენა, 2 - კომუნიკაცია, 1- ქართული ენა) განმახორციელებლი, ხოლო დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი - 41, აქედან 29 - პროფესიული განათლების მასწავლებელი პრაქტიკის დარგში. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს" და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას დანართის სახით ახლავს განმახორციელებელი პერსონალის სია, რომლის მიხედვით დგინდება, რომ დაწესებულებას თითოეული მოდულისათვის ჰყავს მინიმუმ ორი განმახორციელებელი შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციითა და სამუშაო გამოცდილებით, შესაბამისად, ერთ-ერთი მათგანის მიერ კანონით მინიჭებული უფლებებით სარგებლობისას, მაგ. შვებულება, საავადმყოფო ფურცელი, სამსახურიდან წასვლა და სხვა, საფრთხეს არ უქმნის პროგრამის უწყვეტად განხორციელებას.

შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

2.2.1 3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

კოლეჯის საკვალიფიკაციო მოთხოვნებით განსაზღვრულია, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელს უნდა ჰქონდეს უმაღლესი ან პროფესიული განათლება ან შესაბამის დარგში მუშაობის 1 წლიანი გამოცდილება, ხოლო კლინიკურ სწავლება-სწავლის პროცესში ჩართული ექთნების საკვალიფიკაციო მოთხოვნებია საექიმო/სამედიცინო უმაღლესი განათლება/ზებიაქალის პროფესიული ან უმაღლესი განათლება/საექთნო საქმეში პროფესიული ან უმაღლესი განათლება, სამუშაო გამოცდილება - საექთნო სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება.

ვიზიტის დროს მოხდა საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეების შემოწმება (კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია), შემოწმების შედეგად დადასტურდა, პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაცია შეესაბამება დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ვიზიტის დროს შედგა ასევე გასაუბრება, მოდულების, განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ აღნიშნული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების შესაბამისი კომპეტენცია, სწავლების და ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში.

შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციას.

განმახორციელებელ პირებს გავლილი აქვთ როგორც კოლეჯის, ასევე, უნარების სააგენტოს მიერ და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელთა ნაწილი ჩართული იყო მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში.

2.2.1.4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

დაწესებულებას ჰყავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - საექთნო საქმე დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. კვალიფიკაციით - ექიმი დარგში მუშაობის გამოცდილებით (1983 წლიდან 2021 წლამდე), პროფესიული განათლების მასწავლებლად მუშაობის გამოცდილებით (2022 წლიდან დღემდე). დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის დოკუმენტაცია შესაბამისია დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა.

პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებისას მან აღნიშნა, რომ ჩართულია, როგორც კონკრეტული მოდულების განხორციელების, ისე პროგრამის ადმინისტრირების პროცესებში. პერიოდულად ესწრება მეცადინეობებს, კომპეტენციის ფარგლებსა და ინტერესთა კონფლიქტის პრინციპების დაცვით, ჩართულია შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციის პროცესებში. ზრუნავს პროგრამისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების განვითარებაზე.

2.2.1.5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ შერჩევითი წესით გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საექთნო საქმე მოდულებში მითითებული რესურსი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად, დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომია მატერიალური, ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

პროფესიულ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ პრინტერით და ელექტრონული სახით არსებული მასალები ამობეჭდონ სურვილის შემთხვევაში. დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულია ელექტრონული ბიბლიოთეკა, სადაც დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ელექტრონული სახელმძღვანელოებით. საბიბლიოთეკო სივრცე საშუალებას იძლევა, რომ პროფესიულმა სტუდენტმა მოიძიოს მისთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით და მიიღოს ბიბლიოთეკარის მომსახურეობა. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

2.2.1.6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

დაწესებულებას სსსმ პირებისათვის ინდივიდუალური გეგმის შედგენის პროცედურა განსაზღვრული აქვს მარეგულირებელი წესით - დებულებით (მუხლი 50 და მუხლი 54). განსაზღვრავს კოლეჯის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (შემდგომში - სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შემდგომში-შშმ) პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) კონკრეტული მოდულის მოდიფიცირების (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივი ან რაოდენობრივი ცვლილება) ან აკომოდირების (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილება მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) მიზნით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება კონკრეტული მოდულის საფუძველზე და წარმოადგენს მის დაზუსტებას სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისათვის. წესის თანახმად სასწავლო პროცესის მენეჯერი შესაბამის პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიულ მასწავლებელთან ერთად, შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას პროფესიული სტუდენტის ჩართულობით.

დაწესებულებაში არსებული გარემო უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების შესაძლებლობებსა და შეთავაზებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობას.

2.2.1.7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. ფინანსურად მდგრადია საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენილი ბიუჯეტის მაჩვენებლები. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ვაუჩერული დაფინანსება. პროგრამის განხორციელების ხარჯები ნაწილდება შემდეგ კომპონენტებზე: პროფესიული განათლების მასწავლებლის და ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურება, კლინიკური პრაქტიკით სარგებლობის გადასახადი, სასწავლო მასალები, მატერიალური რესურსების განახლების, ინფრასტრუქტურის და კომუნალური ხარჯები, პერსონალის განვითარება, სტუდენტური ღონისძიებები და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები.

პროგრამის რენტაბელობის ზღვარია - 20 პროფესიული სტუდენტი (212280 ლარი). პროგრამისა და დაწესებულების ბიუჯეტის ანალიზი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - საექთნო საქმე თანდართული დოკუმენტაციით;
- მარეგულირებელი წესი - დებულება (ბრძანება #1-36, 01.07.2024);
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

- ვიზუალური დათვალიერებისა და დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიული პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.1.1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

დაწესებულების მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი მოიცავს ძირითად დოკუმენტს, მოდულებსა და სასწავლო გეგმებს (ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის). სასწავლო გეგმა შედგენილია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით, პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის. ექსპერტების მიერ შემოწმებული იქნა მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაბამისობა სასწავლო გეგმასთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2.4.1.2 პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

პროფესიულ სტუდენტთა მომსახურებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელი, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფენ კოლეჯის სხვა სტრუქტურული ერთეულების ინფორმირებას, ჩართულობას. პროფესიულ სტუდენტებს შესაძლებლობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

აქვთ მიიღონ დამატებითი კონსულტაცია, ინფორმაცია საგანმანათლებლო სერვისებთან და პროგრამასთან დაკავშირებით, როგორც ადმინისტრაციისგან, ისე პროფესიული განათლების მასწავლებლისგან.
დაწესებულების მიერ შემუშავებულ დოკუმენტში - დებულებაში (ბრძანება #1-36, 01.07.2024) დეტალურადაა გაწერილი პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინების ნაწილი, მათ შორის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობით, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები,
პროგრამის შეცვლის, ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, ფორმალური განათლების აღიარების პროცედურები ხოლო დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესი (ბრძანება #3-02, 09.02.2022) არეგულირებს შეფასებისა და აპელაციის პროცედურებს.
პროფესიული სტუდენტების საჭიროებებზე რეაგირებისა და შესაბამისი მომსახურების გაწევას ადასტურებენ ასევე პროფესიული სტუდენტებიც.

2.4.1.3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას
სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. მოდულებში გამოკვეთილია სწავლის თანამედროვე მეთოდები, პრაქტიკის ობიექტები და დაწესებულება აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით. პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და დამსაქმებელთა უკუკავშირის შესწავლისა და ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამით განსაზღვრული სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის თანამედროვე მიდგომებს.

2.4.1.4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
დაწესებულების მარეგულირებელი წესით - დებულებით (ბრძანება #1-36, 01.07.2024) განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ყველა პირობა, პროცედურა და მასზე პასუხისმგებელი პირები. დოკუმენტაციით დასტურდება, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის, ასევე მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტებისა და სტატუს აღდგენილი პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას. გაწერილი მეთოდოლოგიის მიხედვით დაწესებულება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.

2.4.1.5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით
კოლეჯი თანამშრომლობს პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებებთან, რაც დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებებით, რომელიც ითვალისწინებს როგორც უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის, ისე დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე პერსონალური მონაცემების დაცვის ვალდებულებებს. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის აუცილებელი სახარჯი მასალის გამოყოფის შესახებ ვალდებულებას. ხელშეკრულება ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობას. ხელშეკრულებებით განსაზღვრულია განსახორციელებელი მოდულები, მათი მოცულობა და პრაქტიკის ობიექტზე მისაღები პროფესიული სტუდენტების კვოტა.
დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამის საექთნო საქმე ხელშეკრულება გაფორმებული აქვს 7 (შვიდ) პარტნიორ კლინიკასთან:
1. შპს კლინიკა ,,ბომონდი“ – 80 პროფესიული სტუდენტი ერთ მიღებაზე
2. შპს თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრი - 98 პროფესიული სტუდენტი ერთ მიღებაზე
3. ქუთაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი - 80 პროფესიული სტუდენტი ერთ მიღებაზე
4. აკ. ბიძინა ნანეიშვილის სახ. ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი - 80 პროფესიული სტუდენტი ერთ მიღებაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

5. დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრი - 80 პროფესიული სტუდენტი ერთ მიღებაზე
6. ჯანმრთელობის ეროვნული ორგანიზაცია - 40 პროფესიული სტუდენტი ერთ მიღებაზე
7. შპს ლჯ-ის კლინიკა - 80 პროფესიული სტუდენტი ერთ მიღებაზე

2.4.1.6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.
პსდ-ს შემუშავებული აქვს საექთნო საქმის პროგრამაზე დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი, რომელშიც გაწერილია მასწავლებლებისა და სტუდენტების სამუშაო გარემოში შესაბამისი ქცევისა და მოწყობილობების ექსპლოატაციის წესები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო საქმე;
- სასწავლო გეგმები;
- მარეგულირებელი წესი - დებულება (ბრძანება #1-36, 01.07.2024);
- პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესი (ბრძანება #3-02, 09.02.2022);
- ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან;
- ფაქტობრივი გარემოება და ინტერვიუირების შედეგები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, ადმინისტრაციის და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან.
- საექთნო საქმის პროგრამაზე დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

2.4.2.1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესი (ბრძანება #3-02, 09.02.2022) არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემას, სადაც დეტალურად არის მოცემული ინფორმაცია შეფასების, განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების და საკვალიფიკაციო გამოცდის, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაციის პროცესების შესახებ.

შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვას. სწავლის შედეგების ვერ დადასტურების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს მაქსიმუმ 2-ჯერ აქვს გასვლის უფლება პროგრამის დასრულებამდე, გარდა იმ შემთხვევაში თუ მოდული წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას. ამ შემთხვევაში ვადები შეზღუდულია.

შეფასების პროცესის შესახებ პროფესიული სტუდენტის ინფორმირება ევალება პროფესიული განათლების მასწავლებელს.

პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია უზრუნველყოს შეფასების მტკიცებულებების განთავსება პროფესიულ სტუდენტთა პორტფოლიოში, რასაც შემდეგ გადასცემს სასწავლო პროცესის მენეჯერს.

შეფასების სისტემა გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება-ვალიდაციის პროცესში.

ვიზიტის დროს, ექსპერტთა მიერ, შემოწმებული იქნა საგანმანათლებლო პროგრამის საექთნო საქმე ფარგლებში შემუშავებული ინსტრუმენტები, რათა დადგენილიყო რამდენად არის შეფასების სისტემა/ინსტრუმენტები ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. წარმოდგენილი ინსტრუმენტები იძლევა შესაფასებელი კომპონენტის შეფასების შესაძლებლობას, ასევე ინსტრუმენტები მოიცავდა ყველა საჭირო ინფორმაციას შეფასების პირობებსა და მოთხოვნებზე, შეფასების მტკიცებულებები რელევანტურია.

პროფესიულ სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ შეფასების პროცესი ხორციელდება ყველასთვის ერთნაირად, სამართლიანობის პრინციპების დაცვით.

2.4.2.2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს ;

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, რომელიც ხორციელდება კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 9 თებერვლის №3-02 ბრძანებით (პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესი, მუხლი 13) დამტკიცებული პროცედურის შესაბამისად. ვერიფიკაციის პროცესის განხორციელებისთვის, შესაბამისი ადამიანური რესურსისა და ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით, დირექტორის ბრძანებით იქმნება შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელშიც შეიძლება ასევე შედიოდეს მოწვეული პირები (დარგის წარმომადგენლები/ექსპერტები).

ვერიფიკაციის პროცესი მოიცავს შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების ვერიფიკაციას, რომელიც ეფუძნება ვერიფიკაციის პროცესის აღიარებულ პრინციპებს. ვერიფიკაციისას გამოყენებულია რისკ-ფაქტორების გამოვლენა, როგორიცაა: ,,დამწყები" პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორი; მოდულის ფარგლებში, როცა ყველა პროფესიულ სტუდენტს მიღებული აქვს უარყოფითი შეფასება და სხვა.

ვერიფიკაციის შედეგების განხილვა ხდება დაწესებულებაში. განხილვაში მონაწილეობა შეუძლია პროფესიული განათლების მასწავლებლებს, დარგის ექსპერტებს, დამსაქმებლებს, ყველა დაინტერესებულ პირს.

ვერიფიკაციის შედეგებიდან გამომდინარე იწერება დასკვნა. დაწესებულება დასკვნის განხილვის საფუძველზე შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, სადაც აისახება ყველა ის განსახორციელებელი აქტივობა რის განხორციელებასაც აპირებს დასკვნაში ასახული პრობლემური საკითხების გადასაჭრელად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საექთნო საქმე, ფარგლებში დაწესებულების მიერ ვერიფიკაცია ჩატარებულია 2023-2024 სასწავლო წელს, დირექტორის ბრძანებით შექმნილი ჯგუფის მიერ.

2.4.2.3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

დაწესებულების დადგენილი რეგულაციის მიხედვით, პროფესიულ სტუდენტთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაცია/შეფასების ინსტრუმენტები, პროფესიულ სტუდენტთა ნაშრომები ინახება, სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ, მათი მოპოვებიდან 3 წლის ვადით (პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესი - ბრძანება #3-02, 09.02.2022). შენახვის ვადის გასვლის შემდეგ ნადგურდება, რაც შეეხება პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისებს, ინახება უვადოდ და აღირიცხება შესაბამისი აღრიცხვის ჟურნალში (ელექტრონულად).
ვიზიტის პერიოდში, ექსპერტების მიერ, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოები. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

2.4.2.4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის
პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. დაწესებულების შეფასების სისტემა ითვალისწინებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასება (შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით) სწავლის პროცესის შეფასება და მისი მიზანია პროფესიული სტუდენტის დახმარება.
პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ აქტიურად იყენებენ კონსულტაციებს.
დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესი (ბრძანება #3-02, 09.02.2022)
- პროფესიული სტუდენტების პორტფოლიოები, შეფასების ინსტრუმენტები, მტკიცებულებები;
- ინტერვიუირების შედეგები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექპერტთა ჯგუფი მიიჩნევს რომ შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

თარიღი: 04.08.2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: